პანდემიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე

სპეციალური ანგარიში

საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

პანდემიის გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე

სპეციალური ანგარიში

თბილისი
2022

ანგარიში მომზადებულია ნიდერლანდების საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის „Monitoring of the Judiciary" ფარგლებში. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. მასში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს ნიდერლანდების საელჩოს შეხედულებებს.

Kingdom of the Netherlands

კვლევის ხელმძღვანელი: მარიამ სვიმონიშვილი

კვლევის ავტორები: ფატიმა ჩაფიჩაძე
თამარ ბოჭორიშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01
www.gyla.ge

© 2022, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სარჩევი

შესავალი 4

მეთოდოლოგია 5

ძირითადი მიგნებები 6

მიღებული საჯარო ინფორმაციები 7

განაჩენების ანალიზი 10

პანდემიის პერიოდში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეგულირებები 12

პანდემიასთან დაკავშირებით გამოცემული ამნისტიის აქტები 13

2021 წლის 07 სექტემბრის ამნისტიის აქტი 13

2022 წლის 12 აპრილის ამნისტიის აქტი 14

პანდემიის შედეგად სისხლის სამართალწარმოებაში წარმოშობილი გამოწვევები 15

საჯარო განხილვის უფლება და სასამართლო სხდომების ხელმისაწვდომობა ... 16

დისტანციურ სხდომებზე არსებული ხარვეზები, მტკიცებულებების გამოკვლევის სირთულე და მოწმეთა დაკითხვისას არსებული რისკები 17

დაცვის უფლება, ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალური ურთიერთობა 18

პანდემიის დროს გარე სამყაროსთან პატიმრების კავშირი 20

დასკვნა 21

რეკომენდაციები 22

შესავალი

კოვიდ-19-ის გავრცელებამ მნიშვნელოვნად შეცვალა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების წესი. სასამართლომ მალევე გაიარა პანდემიით გამოწვეულ შეზღუდვებთან ადაპტაცია და ძირითადად გადავიდა დისტანციურ სამართალწარმოებაზე, რამაც შეამცირა პანდემიის გავრცელების რისკები. სასამართლოს და მხარეებს შესაძლებლობა მიეცათ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი დაკავებისა და საპატიმრო ვადების დაცვით ჩაეტარებინათ სხდომები. თუმცა საწყის ეტაპზე სერიოზული საფრთხე შეექმნა საჯაროობის პრინციპის დაცვას, პანდემიის დაწყებიდან ორი თვის განმავლობაში საგულისხმოდ შეიზღუდა საჯარო სხდომებზე დაინტერესებულ პირთა/მონიტორთა დასწრება.

შემდგომში საია-ს მონიტორებმა შეძლეს დისტანციურ და დარბაზში მიმდინარე სხდომებზე მონიტორინგის განახლება თბილისის, ქუთაისის, ბათუმის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში. ამასთანავე პანდემიით განპირობებულმა დისტანციურმა სხდომებმა საია-ს მონიტორებს შესაძლებლობა მისცათ დისტანციურად მიმდინარე სხდომებს დასწრებოდნენ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოშიც.

საია-მ სხდომების მონიტორინგის შედეგად გამოავლინა დისტანციური სამართალწარმოების პროცესში არსებული გამოწვევები, რომელთა გადასაჭრელადაც ორგანიზაციამ სხვადასხვა უწყებებს შესაბამისი რეკომენდაციები გაუზიარა.

თუმცა კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ დისტანციური სამართალწარმოების პროცესში კვლავ არსებობს ისეთი მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია საკანონმდებლო რეგულაციებსა და ტექნიკური ხასიათის პრობლემებთან. ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო გამოწვევად რჩება ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალური კომუნიკაციის დაცვა. აგრეთვე დღემდე არ არსებობს დისტანციურ პროცესებზე მოწმეთა დაკითხვისთვის სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი ისეთი სივრცეები, სადაც დასაკითხი პირები იქნებიან ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალი.

დისტანციურ სამართალწარმოებაზე მასშტაბურ გადასვლას მნიშვნელოვნად უნდა დაეზოგა მხარეთა და სასამართლოს დროც, მაგრამ იმის გამო რომ პენიტენციური დაწესებულებებიდან ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა დადგენილ დროს სხდომაზე ჩართვა ვერ ხდებოდა, სხდომების დაწყება საგრძნობლად ჭიანურდებოდა. საწყის ეტაპზე პენიტენციური დაწესებულებების არაეფექტიან მუშაობაზე მიუთითებდა ის გარემოებაც, რომ ადვოკატებს დაცვის ქვეშ მყოფებთან შესახვედრად დიდი დროით უწევდათ რიგში დგომა, რამაც მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გარკვეული სხდომების წინ ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტიან კომუნიკაციაზე. დაწესებულების შიგნით ადვოკატებთან შეხვედრის სივრცეები კი იმგვარად მოეწყო, რომ იმთავითვე აჩენდა ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის მესამე პირთათვის ხელმისაწვდომობის რისკებს.

იმედს გამოვთქვამთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას, პანდემიის დროს წარმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრას და ბრალდებულთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიშის მიზანია პანდემიის დაწყებიდან 2 წლის თავზე არსებული ვითარების შეფასება - რამდენად თანმიმდევრული იყო სისხლის სამართლის პოლიტიკა პანდემიის მართვის კუთხით და იმუშავა თუ არა პრაქტიკაში შესაბამისი ორგანოების მიერ მიღებულმა ზომებმა.

ამ მიზნით საიამ გააანალიზა პანდემიის გავლენით **სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შესული ცვლილებები,** ასევე სისხლის სამართლის სხდომების მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული პრობლემები.

ამასთანავე, ორგანიზაციამ **საერთო სასამართლოებიდან** გამოითხოვა კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით - იზოლაციის ან/და კარანტინის წესის,[1] ასევე საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის[2] დარღვევების საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენები.

კერძოდ, საიამ 6 სასამართლოდან - თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ქუთაისის საქალაქო და ზუგდიდისა და თელავის რაიონული სასამართლოებიდან გამოითხოვა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- 2020 წლის 2 მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლით პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე და 359[1]-ე მუხლებით (ცალკეული მონაცემები), ასევე ამ მუხლებთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულებზე რამდენი საქმე განიხილა თითოეულმა სასამართლომ.
- აქედან რამდენ საქმეზე დაიდო საპროცესო შეთანხმება და რამდენზე დასრულდა განხილვა არსებითად.
- რამდენ საქმეზე დადგა გამამართლებელი, გამამტყუნებელი ან ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი.

კვლევის მიზნებისთვის გაანალიზდა შესაბამისი უწყებებიდან - **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან** და გენერალური **პროკურატურიდან** მიღებული ინფორმაციები კონკრეტული მუხლებით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე და 359[1]-ე მუხლები) გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ.

ნაშრომში შეფასებულია პანდემიის დროს სახელმწიფოს მიერ გატარებული სისხლის სამართლის პოლიტიკა, მათ შორის, **ამნისტიის შესახებ გამოცემული აქტები.**

ასევე, კვლევის ფარგლებში **სიღრმისეული ინტერვიუები და გამოკითხვა** ჩატარდა უფლებადამცველებთან/ადვოკატებთან,[3] რომლებმაც ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც პანდემიამ მათ დაცვის უფლების რეალიზების ჭრილში შეუქმნა.

---

[1] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე მუხლი.

[2] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 359[1]-ე მუხლი.

[3] გამოიკითხა 10 ადვოკატი. აქედან 8 ადვოკატთან ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუ, ხოლო 2-თან - გამოკითხვა (მათ საიას წერილობითი ფორმით მიაწოდეს მოსაზრებები კვლევისთვის საინტერესო საკითხებზე).

ძირითადი მიგნებები

- სისხლის სამართლის სხდომების მიმდინარეობისას კვლავ არსებობს კოვიდ-19-ის პანდემიის საწყის ეტაპზე გამოვლენილი ტექნიკური პრობლემები.
- პანდემიასთან დაკავშირებით გამოიცა ამნისტიის 2 აქტი. ერთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან გათავისუფლდნენ პირები, რომლებმაც 2021 წლის 23 ივნისამდე ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) ან 359[1]-ე (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ხოლო მეორე შემთხვევაში პატიმართათვის ხანმოკლე პაემნის უფლების შეზღუდვის კომპენსირების მიზნით პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალათ შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობაში ყოფნის 4 დღე - სასჯელის მოხდის 5 დღე.
- პანდემიის დროს შემოღებულ ახალ დანაშაულთან - საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა (სსკ-ის 359[1]-ე მუხლი) - დაკავშირებით 2020 წლის 3 მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლის პერიოდში სს დევნის არცერთი შემთხვევა არ გამოვლენილა.
- ისევე, როგორც პანდემიის საწყის ეტაპზე, ამჯერადაც გრძელდება მოწმეთა დაკითხვა პოლიციის ადმინისტრაციული შენობიდან, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენს ფსიქოლოგიური თუ სხვაგვარი წნეხისგან თავისუფალ გარემოში ინფორმაციის გადმოცემის შესაძლებლობაზე.
- განაჩენების შესწავლით გამოიკვეთა, რომ იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევის (სსკ-ის 248[1]-ე მუხლი) დანაშაულებზე მხარეებს შორის უმეტესად საპროცესო შეთანხმება იდება - 51 (88%) შემთხვევა. სასამართლოში არსებითი განხილვით მხოლოდ 7 (12%) საქმე დასრულდა.
- სასამართლოს მიერ მოწოდებული 56 განაჩენიდან ყველა შემთხვევაში სასამართლო განხილვა დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით, თუმცა მსუბუქი სასჯელებით.
- იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევის (სსკ-ის 248[1]-ე მუხლი) დანაშაულთან დაკავშირებული განაჩენების ანალიზის თანახმად, ყველაზე ხშირად სასამართლო სასჯელის სახედ ვადიან თავისუფლების აღკვეთას უთვლიდა პირობითად - (46%), ასევე ხშირად (22%) იყენებდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას. სასჯელის სახე - ჯარიმა სასამართლომ შემთხვევათა 16%-ში გამოიყენა და მას, ძირითადად, 2000-3000 ლარის ოდენობით განსაზღვრავდა.
- არ არსებობს დისტანციური სხდომების დროს ქცევის წესების ნორმატიული რეგულაცია. გარდა ცალკეული შემთხვევისა, მოსამართლეები დამსწრე პირებს არ აცნობდნენ სხდომაზე ქცევის მინიმალურ წესებსაც კი.
- დისტანციურად, ტექნიკური საშუალებებით მოწმეთა დაკითხვის დროს კვლავ არსებობს დასაკითხი სხვა მოწმის მიერ ინფორმაციის გაგების მაღალი რისკი.

- კვლავ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება დისტანციურ სხდომებზე აუდიო-ვიდეო მტკიცებულებების გამოკვლევა. ასეთ პირობებში ჩანაწერებში ასახული ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი ბრალდებულებისთვის ხშირად რთულად აღქმადია.
- როგორც პროცესის მიმდინარეობისას, ისე პენიტენციურ დაწესებულებებში ადვოკატსა და კლიენტს შორის მიმდინარე საუბარი არ არის ყოველთვის კონფიდენციალური.
- არც სასამართლოების და არც ადგილობრივი თვითმმართველობის სივრცეებში არ არის დისტანციურად მოწმეთა დაკითხვისთვის გამოყოფილი, ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სპეციალური ოთახები.
- №8 პენიტენციური დაწესებულების გარდა, სხვაგან არ მოქმედებს ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის პორტალი, რაც უფლებადამცველებს ართმევს დროის ეფექტიანად მართვის შესაძლებლობას.
- ადვოკატების შეფასებით, წინასწარ დაჯავშნილი ვიზიტისთვის დროის მცირე მონაკვეთი - მხოლოდ ნახევარი საათია გათვალისწინებული, რაც მათი დაცვის ქვეშ მყოფებთან კომუნიკაციისთვის ხშირად არასაკმარისია.
- დისტანციურად ან ნაწილობრივ დისტანციურად მიმდინარე სხდომებზე დაინტერესებულ პირთა დასწრებასა და ტექნიკური საშუალებებით მათ ჩართვას თვითნებურად წყვეტენ მოსამართლეები.
- დისტანციური პროცესების დროს არსებობს ბრალდებულისა და პროცესის მონაწილე სხვა პირების პერსონალური მონაცემების, კომერციული საიდუმლოების, ასევე, იმ საიდუმლო ინფორმაციის გავრცელების საფრთხე, რომლის შესახებაც დახურულ სხდომებზეა საუბარი.

მიღებული საჯარო ინფორმაციები

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ[4] საიას მიაწოდა 2020 წლის 2 მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლით პერიოდში საქართველოს სსკ-ის 248[1]-ე და 359[1]-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოტანილი 10 განაჩენი.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ[5] ამ პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე მუხლით 3 საქმე განიხილა (აქედან 2-ზე გაფორმდა საპროცესო შეთანხმება, 1-ზე იმსჯელა არსებითად), ხოლო სსკ-ის 359[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან დაკავშირებით არცერთი საქმე არ განხილულა.

საგულისხმოა, რომ თელავის რაიონულ სასამართლოს[6] 2020 წლის 2 მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლით პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე და 359[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე არცერთი საქმე არ განუხილავს.

[4] ზუგდიდის რაიონული სასამართლოს პასუხი, 29.03.2022, განცხადება №135.
[5] ბათუმის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 30.03.2022, განცხადება №139-გ/კ.
[6] თელავის რაიონული სასამართლოს პასუხი, 28.03.2022, განცხადება №გ-133.

მოცემულ პერიოდში **რუსთავის საქალაქო სასამართლომ**[7] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე მუხლით 4 საქმე განიხილა. ოთხივე მათგანზე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება. რაც შეეხება სსკ-ის 359[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, სასამართლოს ამ პერიოდში არცერთი საქმე არ განუხილავს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ[8] მოცემულ პერიოდში სსკ-ის 248[1]-ე მუხლით და, ასევე, ამ მუხლთან ერთობლიობით 40 საქმე განიხილა. საპროცესო შეთანხმებით გამოტანილია 40 გამამტყუნებელი განაჩენი. სსკ-ის 359[1]-ე მუხლით, ასევე, ამ მუხლთან ერთობლიობით გათვალისწინებულ დანაშაულებზე განაჩენი გამოტანილი არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს[9] მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საანგარიშო პერიოდში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 359[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოტანილი განაჩენები არ იძებნება. რაც შეეხება სსკ-ის 248[1]-ე მუხლს, სასამართლომ განიხილა 1 სისხლის სამართლის საქმე 1 პირის მიმართ.

მსხვილი სასამართლოების მიერ განხილული საქმეების ოდენობები აჩვენებს, რომ ამ ტიპის დანაშაულებზე[10] რეგიონულ ჭრილში განსხვავებული მიდგომები არსებობდა. მაგალითად, სავარაუდოდ, თელავის რაიონული სასამართლოს განსჯადობის ტერიტორიაზე უფრო ლოიალური დამოკიდებულება იყო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის მხრივ, ვიდრე ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯად ტერიტორიაზე, სადაც საანგარიშო პერიოდში 40 სისხლის სამართლის საქმე განიხილეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად,[11] მოცემულ პერიოდში შსს-ს ქვედანაყოფებმა აღრიცხეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42[10]-ე მუხლის (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) დარღვევის **23525** ფაქტი. აქედან, სამართალდამრღვევი უმეტესად ფიზიკური პირი იყო. იურიდიული პირის მიერ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ 87 (0,4%) შემთხვევაში გამოვლინდა.[12]

---

[7] რუსთავის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 28.03.2022 №399/გ.

[8] ქუთაისის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 28.03.2022, განცხადება №2348-1.

[9] თბილისის საქალაქო სასამართლოს პასუხი, 24.03.2022, განცხადება №1-051/5602786.

[10] სსკ-ის 248[1]-ე და 359[1]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები.

[11] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, 20.04.2022, MIA 7 22 01053991.

[12] შენიშვნა: 1. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, სტატისტიკური მონაცემები ასევე მოიცავს 2021 წლის 23 ივნისამდე გამოვლენილ სამართალდარღვევებს, რომლებზეც უკვე გავრცელებულია 2021 წლის 7 სექტემბრის საქართველოს კანონი „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“. 2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზებული მეთოდოლოგია, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ. აქედან გამომდინარე, საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს მრავალჯერადად - პირველადი, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშგების სახით. ამავდროულად, დღევანდელი მდგომარეობით, მიმდინარეობს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზის სტრუქტურული რევიზიისა და არქიტექტურული განახლება-რეორგანიზაციის პროცესები, რომლის საბოლოო დასრულებამდე, ზღვრული საშუალო სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში არსებობს მონაცემთა შემდგომი ცვლილების გარკვეული ალბათობა.

ცხრილი №1

შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42[10]-ე მუხლთან მიმართებით (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) (02.05.2020 - 28.02.2022)	
ფიზიკური პირი	**23438**
იურიდიული პირი	**87**

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საიას არ მიაწოდა სტატისტიკა იმის შესახებ, რამდენ პირს დაედო ადმინისტრაციული სახდელი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 177[15]-ე მუხლით (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა) გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისათვის. უწყებამ ორგანიზაციას მხოლოდ რამდენიმეთვიან მონაცემზე მიუთითა.[13]

ამ ორი ახალი დანაშაულის შემადგენლობიდან გამოძიება უფრო ხშირად სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე მუხლით იწყებოდა. საანგარიშო პერიოდში[14] ამ მუხლით გამოძიება დაიწყო **1699** ფაქტზე, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 359[1]-ე მუხლით - **137**-ზე.

ცხრილი №2

პერიოდი: 2020 წლის 2 მაისიდან 2022 წლის 28 თებერვლის ჩათვლით	**გამოძიების დაწყების მაჩვენებელი**
იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა (სსკ-ის 248[1]-ე მუხლი)	**1699**
საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა (სსკ-ის 359[1]-ე მუხლი)	**137**

საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის[15] თანახმად, შემოღებული ახალი ნორმების - სსკ-ის 248[1]-ე და 359[1]-ე მუხლების დარღვევისთვის სისხლისსამართლებრივი დევნა არც ისე ხშირად იწყება. მეტიც, საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის ფაქტზე (სსკ-ის 359[1]-ე მუხლი) დევნა საანგარიშო პერიოდში საერთოდ არ დაწყებულა. შეიძლება ითქვას, რომ ამ მუხლს გასული ორი წლის განმავლობაში პრაქტიკაში თითქმის არ უმუშავია.

[13] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის გამო გამოვლენილი სამართალდარღვევები, ხელმისაწვდომია: https://info.police.ge/uploads/5eda9f0d152f4.pdf, განახალებულია: 13.08.2022.

[14] მოიცავს 2020 წლის 3 მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლით პერიოდს, მხოლოდ შსს-ს მიერ მოწოდებული საჯარო ინფორმაცია - 2020 წლის 2 მაისიდან 2022 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდს.

[15] საქართველოს გენერალური პროკურატურის პასუხი, 29.03.2022, №13/18107.

ცხრილი №3

პერიოდი: 2020 წლის 3 მაისიდან 2022 წლის 16 მარტის ჩათვლით	**სს დევნის მაჩვენებელი**
იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა (სსკ-ის 248[1]-ე მუხლი)	**125**
საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა (სსკ-ის 359[1]-ე მუხლი)	**არ დაფიქსირებულა**

საგულისხმოა, რომ იზოლაციისა და კარანტინის წესის დარღვევის ფაქტზე გამოძიების მაჩვენებელი საგრძნობლად აღემატება სისხლისსამართლებრივი დევნის მონაცემებს. არაერთ შემთხვევაში გამოძიების დაწყების მიუხედავად, დევნა კონკრეტული პირების მიმართ არც ერთხელ არ განხორციელებულა.

განაჩენების ანალიზი

საიამ შეისწავლა სასამართლოების[16] მიერ მოწოდებული **58 განაჩენი** საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) საქმეებზე. სსკ-ის 359[1]-ე მუხლთან დაკავშირებით (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა) განაჩენები ორგანიზაციას არ მიუღია. სასამართლოების განმარტებით, ამ მუხლის დარღვევის საქმეები მათ არ განუხილავთ, რაც ლოგიკურიცაა იმ ფონზე, რომ მოცემული მუხლით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მონაცემები არ არსებობს.

როგორც განაჩენების შესწავლამ აჩვენა, ამ ტიპის დანაშაულის საქმეებზე[17] ყველა შემთხვევაში გამოტანილი იყო **გამამტყუნებელი** განაჩენი. ბრალდებულები, ძირითადად, აღიარებდნენ წარდგენილ ბრალდებას და საქმე საპროცესო შეთანხმებით სრულდებოდა. კერძოდ, 51 (88%) შემთხვევაში გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მხოლოდ 7 (12%) მათგანი დასრულდა არსებითი განხილვით. არსებითი განხილვის დროსაც პირები უმეტესად აღიარებდნენ ბრალს, რაც მათ მიმართ მსუბუქი სასჯელის შეფარდების საფუძველი ხდებოდა. კერძოდ, სასამართლომ ყველა შემთხვევაში სასჯელის სახედ გამოიყენა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, რაც პირობითად ჩაუთვალა.

საერთო ჯამში, სასჯელების ტენდენციაც ავლენს, რომ ბრალდების მხარის და სასამართლოს მიდგომები იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევის დანაშაულთან მიმართებით სიმკაცრით არ გამოირჩევა.

რაც შეეხება სასჯელებს, ყველაზე ხშირად სასამართლო იყენებდა პირობით მსჯავრს - 26 შემთხვევა (46%) და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას - 13 შემთხვევა (22%).

[16] ქუთაისის საქალაქო სასამართლო - 40 განაჩენი; ბათუმის საქალაქო სასამართლო - 3 განაჩენი; რუსთავის საქალაქო სასამართლო - 4 განაჩენი; ზუგდიდის რაიონული სასამართლო - 10 განაჩენი; თბილისის საქალაქო სასამართლო - 1 განაჩენი. თელავის რაიონულ სასამართლოს საანგარიშო პერიოდში ამ მუხლებით არცერთი საქმე არ განუხილავს.

[17] იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევის საქმე.

ქვემოთ იხილეთ სასჯელების გამოყენების ტენდენცია პროცენტული გამოხატულებით.

დიაგრამა №1



აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ამ ტიპის საქმეებზე 2 შემთხვევაში გამოიყენა **შინაპატიმრობა.** ორივე ფაქტი გამოვლინდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში. მსჯავრდებულს განესაზღვრა შინაპატიმრობა 1 წლის ვადით, რომლის ფარგლებშიც დაეკისრა ყოველდღიურად 19:00 საათიდან 09:00 საათამდე თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულება.

სასჯელის კიდევ ერთ სახეს - ჯარიმას სასამართლო, ძირითადად, 2000-3000 ლარის ოდენობით განსაზღვრავდა.

რეალური სასჯელი[18] ან რეალური სასჯელი პირობით მსჯავრთან ერთად მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამოყენებული, როდესაც დანაშაულთა ერთობლიობაა. ყველა სხვა შემთხვევაში ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთაზე ნაკლებად მკაცრი სასჯელი შეეფარდა.

სასჯელების გამოყენების მსგავს ტენდენციაზე მიუთითებდა საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №15 ანგარიშიც.[19]

წინა ანგარიშიც აჩვენებდა, რომ სასამართლო უმეტესად იყენებდა ვადიან თავისუფლების აღკვეთას, რომელიც მსჯავრდებულს პირობითად ეთვლებოდა.

საინტერესო მოცემულობა არსებობს იმ თვალსაზრისით, რომ თუკი სხვა ბრალდების საქმეებზე თითქმის ყოველთვის საპროცესო შეთანხმებით უფრო მსუბუქი სასჯელები ინიშნება, ვიდრე არსებითი განხილვით, სსკ-ის 248[1]-ე მუხლით ბრალდებული პირე-

[18] სასჯელის სახედ განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთა, რასაც ბრალდებული იხდის პენიტენციურ დაწესებულებაში.

[19] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №15 ანგარიში, გვ. 43-45, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oQPc9n, განახალებულია: 13.08.2022.

ბის მიმართ არსებითი განხილვისას მოსამართლეებმა უმეტესად საპროცესო შეთანხმებით განსაზღვრულის მსგავსი ან/და ზოგ შემთხვევაში უფრო მსუბუქი სასჯელიც კი გამოიყენეს.

პანდემიის პერიოდში სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისთვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი რეგულირებები

კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების, ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი გამოწვევის გათვალისწინებით, პანდემიაზე შესაბამისი რეაგირების მიზნით 2020 წლის 21 მარტს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა,[20] რომლის ვადა პირველ ეტაპზე 1 თვით განისაზღვრა. საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-7 მუხლის მიხედვით კი, შესაძლებელი გახდა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვა კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.[21]

2020 წლის 21 აპრილს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის მოქმედების ვადა 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით გაგრძელდა.[22]

2020 წლის 23 მაისს უკვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების დისტანციურად გამართვის შესაძლებლობა იმავე წლის 15 ივლისამდე.[23] შემდგომი არაერთი საკანონმდებლო ცვლილების[24] მიზანი ამ წესის მოქმედების ვადის გაგრძელება იყო. საბოლოოდ, **სასამართლო სხდომების დისტანციურად გამართვის დროებითი წესი 2023 წლის 1-ელ იანვრამდე გახდა შესაძლებელი.**[25]

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კოვიდ-19-ის თანმდევი კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება სისხლის სამართლის კოდექსში ორი ახალი დანაშაულის დამატებას უკავშირდებოდა. კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა მუხლი 248^1 - იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა და მუხლი 359^1 - საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა.[26]

მოგვიანებით, კანონმდებელმა პანდემიის ნეგატიური გავლენის შემცირების მიზნით ორი ჰუმანური აქტი - ამნისტიის შესახებ კანონი მიიღო.

---

[20] საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტი N1 ბრძანება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.
[21] საქართველოს პრეზიდენტის №1 დეკრეტი.
[22] საქართველოს პრეზიდენტის №2 ბრძანება.
[23] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 22.05.2020.
[24] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 29.12.2020.
[25] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 22.12.2021.
[26] საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 23.04.2020.

სახელმწიფო, ჰუმანიზმის პრინციპებიდან გამომდინარე და ცალკეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით, პერიოდულად იღებს გადაწყვეტილებებს (მათ შორის, საკანონმდებლო ცვლილებების გზით), რომლებიც მიმართულია მსჯავრდებულთა სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სასჯელისგან მათი გათავისუფლების დამატებითი სამართლებრივი მექანიზმების შექმნისკენ.

ამ დრომდე გამოიცა **ამნისტიის ორი აქტი**, რომლებიც პანდემიას უკავშირდებოდა. საგულისხმოა, რომ კანონმდებელმა ჯერ გაამკაცრა მიდგომები, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შემოიღო პანდემიის დროს მოქალაქეების სამართავად, ხოლო შემდეგ ამ ცვლილებებს ამნისტიის ორი ჰუმანური აქტით უპასუხა.

2021 წლის 07 სექტემბრის ამნისტიის აქტი[27]

2021 წლის 23 ივნისს საქართველოს მთავრობამ პარლამენტში დააინიცირა ამნისტიის შესახებ **კანონპროექტი,[28]** რომლის მიხედვითაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავისუფლდებოდა პირი, რომელმაც ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე (იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევა) ან 359[1]-ე (საგანგებო ან საომარი მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული. ამნისტიის მოქმედება გავრცელდებოდა შესაბამისი ჯარიმის აღუსრულებელ ნაწილზეც. რაც შეეხება პირთა წრეს, პროექტის შესაბამისად, ამნისტია ვრცელდებოდა იმ პირებზე, რომლებმაც დანაშაული 2021 წლის 23 ივნისამდე ჩაიდინეს. განმარტებით ბარათში ასახული ინფორმაციით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 359[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის გამოძიება იმ დროისთვის დაწყებული იყო 227 საქმეზე, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის - 1486-ზე.

ამასთანავე, კანონით, დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან, მიიჩნევა ნასამართლობის არმქონედ. მნიშვნელოვანია, რომ ამნისტიის მოქმედება გავრცელდა იურიდიული პირების მიმართ შეფარდებული ჯარიმის აღუსრულებელ ნაწილზეც.

საგულისხმოა, რომ სისხლის სამართლის კონკრეტულ მუხლებზე ამნისტიის გამოცხადებასთან ერთად, „ამნისტირებულ იქნა“ ადმინისტრაციული ჯარიმებიც, „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.[29] შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლდნენ პირები, რომელთაც, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის მე-8 მუხლისა და „საქართვე-

[27] საქართველოს კანონი ამნისტიის შესახებ, 07.09.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3A9XmyW.

[28] ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, 23.06.2021, ხელმისაწვდომია: https://parliament.ge/legislation/22385. განახლებულია:13.08.2022.

[29] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3QERDYn . განახლებულია:13.08.2022/

ლოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42^{10}-ე, 42^{11}-ე და 177^{15}-ე მუხლების დარღვევის გამო, დაეკისრათ შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამასთანავე, კანონით დაზუსტებულია, რომ ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლება ვრცელდება ადმინისტრაციული სახდელის აღუსრულებელ ნაწილზე.

ყურადსაღებია, რომ პანდემიის დაწყებიდან 2021 წლის 23 ივნისამდე პერიოდში საიას სასამართლოების მონიტორინგიც აფიქსირებდა[30] იზოლაციის ან/და კარანტინის წესის დარღვევის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 248^{1}-ე მუხლი) ბრალდების საქმეებს, თუმცა პირველი ამნისტიის აქტის გამოცემის შემდეგ, რომელიც პანდემიას უკავშირდებოდა, ორგანიზაციას ამგვარი საქმეები აღარ გამოუვლენია. დღეისთვის, 2022 წლის პირველი ნახევრის პერიოდისთვის, კოვიდ-19-ის შემცირების ფონზე, სისხლისსამართლებრივი ბერკეტები, ფაქტობრივად, აღარ გამოიყენება.

2022 წლის 12 აპრილის ამნისტიის აქტი

ამნისტიის მეორე აქტის[31] გამოცემისას კანონმდებელმა შეაფასა პანდემიის დროს ადამიანის უფლებების კუთხით მდგომარეობის გაუარესება. კერძოდ, იმის გამო, რომ მსჯავრდებულ პირს პენიტენციურ დაწესებულებაში შეზღუდული ჰქონდა სხვა პირებთან კომუნიკაცია და პაემნის უფლება, სასჯელის დათვლა პატიმართა/მსჯავრდებულთა სასარგებლოდ განსაზღვრა.

ამნისტიის შესახებ 2022 წლის 12 აპრილის კანონის მიღება განპირობებული იყო პანდემიის უარყოფითი გავლენის კომპენსირების სურვილით, რამაც სახელმწიფოს საშეღავათო პირობების შემოღებისკენ უბიძგა. კერძოდ, კანონის მიხედვით, მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების შედეგად გამოწვეული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში პატიმრობაში მყოფი პირებისთვის დაწესებული შეზღუდვების კომპენსირების მიზნით, ერთჯერადი, დროებითი და განსაკუთრებული ღონისძიების სახით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირებს სასჯელი შეუმცირდათ და პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პერიოდი სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალათ განსხვავებული წესით.[32]

ყველა პირს, რომლებიც 2020 წლის 5 მარტიდან 2020 წლის 25 მაისამდე, ასევე 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 1-ელ იანვრამდე პერიოდში იმყოფებოდნენ პატიმრობაში ბრალდებულის ან მსჯავრდებულის სტატუსით და რომლებსაც, მათგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, შეეზღუდათ პატიმრობის კოდექსით გარანტირებული

[30] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №15 ანგარიში, გვ. 43-45, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3oQPc9n. განახლებულია: 13.08.2022.

[31] „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, 12.04.2022, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3caalZs.

[32] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ამნისტიის შესახებ“, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3QCKsA0, განხლებულია:13.08.2022/

ხანმოკლე პაემნის უფლება, პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე ჩაეთვალათ სასჯელის მოხდაში შემდეგი გაანგარიშებით: პატიმრობაში ყოფნის 4 დღე - სასჯელის მოხდის 5 დღე.

გარდა ამისა, ამავე კანონით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან (გარდა უვადო თავისუფლების აღკვეთისა) გათავისუფლდნენ პირები, რომლებმაც 2004 წლის 1-ელ იანვრამდე ჩაიდინეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.[33] ამნისტიის აქტი შეეხო როგორც ძირითად და დამატებით სასჯელს, ასევე პირობით მსჯავრსა და გამოსაცდელ ვადას.

აღსანიშნავია, რომ სასჯელისგან გათავისუფლდნენ მხოლოდ ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირები. რაც შეეხება უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულებს, მათ დაკმაყოფილებულად ჩაეთვალათ სსკ-ის 72[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით ან იმავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ნაწილის მოხდის მოთხოვნა და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოებს შესაძლებლობა მიეცათ, განეხილათ მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების, ასევე დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლის საკითხი.

პანდემიის შედეგად სისხლის სამართალწარმოებაში წარმოშობილი გამოწვევები

COVID 19-ის პანდემიამ სასამართლო არაერთი მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა. მათ შორის გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი, რომლებიც ხელს უშლიდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელებას.

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგმა პანდემიის საწყის ეტაპზევე გამოავლინა პრობლემა, რომელიც სხდომათა საჯაროობის პრინციპის შეზღუდვას უკავშირდებოდა. საიას მონიტორები თითქმის ორი თვის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ სისხლის სამართლის პროცესებზე დასწრებას. ამასთანავე, დისტანციური ჩართვების დროს ტექნიკური ხარვეზები მნიშვნელოვნად აფერხებდა სხდომების დროულად ჩატარებას და ზოგჯერ მათ გაჭიანურებას იწვევდა, მათ შორის ისეთ საქმეებზე, სადაც ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით არ ჰქონდათ შეფარდებული პატიმრობა. პრობლემური იყო დისტანციურად მიმდინარე სხდომებზე მტკიცებულებების გამოკვლევა, განსაკუთრებით, მოწმეთა დაკითხვა. ასევე სრულყოფილად ვერ ხორციელდებოდა დაცვის უფლება - მუდმივად საფრთხე ექმნებოდა ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალურ ურთიერთობას. ეს გამოწვეული იყო როგორც დისტა-

[33] ამნისტია არ გავრცელდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე, 109-ე, 137-ე–141-ე, 142-ე–144[3]-ე, 164-ე, 179-ე, 183-ე, 223-ე–224-ე, 236-ე–239-ე, 253-ე–255[2]-ე, 280-ე, 353-ე, 378-ე–379-ე და 404-ე–413-ე მუხლებითა და XXXVII და XXXVIII თავებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულზე, რომელიც „ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეთა მკვლელობაში, გატაცებაში, წამებასა და არაჰუმანურ მოპყრობაში, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, აგრეთვე ამ დანაშაულთა დაფარვაში ბრალდებულ და მსჯავრდებულ პირთა სიის – „ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიის“ დამტკიცებისა და საქართველოს მთავრობის მიერ გასატარებელი შესაბამისი ღონისძიებების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 26 ივნისის №339 დადგენილებით განსაზღვრულმა პირმა ჩაიდინა. ასევე ზემოაღნიშნული დანაშაულის მომზადებასა ან მცდელობაზე.

ნციური ჩართვების სპეციფიკით, ასევე პენიტენციურ დაწესებულებებში ადვოკატისა და მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის შეხვედრების დროს არსებული პრობლემებით.

საჯარო განხილვის უფლება და სასამართლო სხდომების ხელმისაწვდომობა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, წლებია, საუბრობს სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის კუთხით არსებულ პრობლემაზე. თუ ადრე საიას მონიტორები სასამართლოს დარბაზებში ეძებდნენ პირველი წარდგენის სხდომებს, პანდემიით გამოწვეულმა შეზღუდვებმა ისინი ამ შესაძლებლობის გარეშე დატოვა. სასამართლოები უმეტესად არ აქვეყნებენ საჯაროდ და პროაქტიულად პირველი წარდგენის სხდომების შესახებ ინფორმაციას. ამის გამო, ხშირად მათზე დისტანციური დასწრებაც ვერ ხერხდებოდა.

გარდა ამისა, პანდემიის საწყის ეტაპზე საერთო სასამართლოების მიერ სხდომების დისტანციური წესით წარმართვამ საიას მონიტორებს, სხვა დაინტერესებული პირების მსგავსად, სისხლის სამართლის პროცესებზე დასწრების შესაძლებლობა შეუზღუდა. ორგანიზაცია 2 თვის განმავლობაში ვერ ახერხებდა სხდომების მონიტორინგს. პირველად თბილისის საქალაქო სასამართლომ დაუშვა საიას დამკვირვებლები დისტანციურ სხდომებზე და 2020 წლის 1-ლი ივნისის შემდგომ მათ სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგი გააგრძელეს ჰიბრიდული ფორმით თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, რუსთავის საქალაქო და თელავისა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოებში.[34] ორგანიზაციამ არსებული გამოწვევების შესახებ მომზადებული დოკუმენტით[35] შესაბამის უწყებებს რეკომენდაციები გაუზიარა, თუმცა ორი წლის შემდეგაც არაერთი რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია.

სასამართლოები ინფრასტრუქტურულად მეტად აღიჭურვა, დამონტაჟდა დამცავი ბარიერები, დარბაზებში დისტანციის დასაცავად მოინიშნა სკამები, დამსწრეებთან დაკავშირებით იუსტიციის საბჭომ შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები, თუმცა, მკაფიო მითითების არარსებობის გამო, ზოგიერთი მოსამართლე თვითნებურად წყვეტდა საჯარო სხდომაზე მოქალაქეთა დასწრების საკითხს. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მხარეები დარბაზში ესწრებოდნენ პროცესის მიმდინარეობას, საიას მონიტორს და სხვა გარეშე პირებს კი კოვიდ-19-ის გამო დაწესებული შეზღუდვების მიზეზით ამის შესაძლებლობა არ ეძლეოდათ. გარდა ამისა, დისტანციურად ჩართვის სურვილის შემთხვევაში მათ პასუხობდნენ, რომ მხოლოდ დამკვირვებლისთვის შესაბამის პროგრამას ვერ ჩართავდნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის დაწყებიდან დღემდე საერთო სასამართლოებში შეინიშნება არაერთგვაროვანი მიდგომები, რაც დამოკიდებულია პანდემიის გავრცელების მდგომარეობაზე ქვეყანაში. სასამართლოები საკუთარი ბერკეტებით ცდილობენ, ფეხი აუწყონ არსებულ პანდემიურ ვითარებას. ინფიცირებულთა რაოდენობის შემცირებასთან ერთად, ისინი ცდილობდნენ, პროცესები დარბაზში ჩაეტარებინათ,

[34] საიას სპეციალური ანგარიში - სასამართლო პანდემიის დროს, 2020, გვ. 12-14, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cAIPnS, განხლებულია: 13.08.2022.

[35] საიას სპეციალური ანგარიში - სასამართლო პანდემიის დროს, 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2PGNppn, განხლებულია: 13.08.2022.

კორონავირუსის გავრცელების მასშტაბის მატებისას კი უმეტესად დისტანციური სხდომებით შემოიფარგლებოდნენ.[36]

დისტანციურ სხდომებზე არსებული ხარვეზები, მტკიცებულებების გამოკვლევის სირთულე და მოწმეთა დაკითხვისას არსებული რისკები

მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა პანდემიის დაწყებიდან მალევე შეძლეს დისტანციურ სხდომებზე გადასვლა. თუმცა, საწყის ეტაპზე წარმოშობილი ისეთი პრობლემები, როგორებიცაა ტექნიკური ხარვეზები სხდომის დაწყებისა და მიმდინარეობისას, სასამართლოს სივრცეში მოწმეთა დასაკითხი ადგილების არქონა, საერთო სასამართლოების პროცესზე გარეშე პირების დასწრებასთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომის არარსებობა, მოწმეთა დაკითხვა პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობებიდან, კვლავ გამოწვევად დარჩა.

დისტანციურ სხდომებზე ისევ არ ხდება ვიდეოჩანაწერის იმგვარად გამოკვლევა, რომ მხარეებისთვის, განსაკუთრებით პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის, ჩანაწერში ასახული ინფორმაცია აღქმადი იყოს.

პანდემიის დაწყებიდან 2 წლის შემდეგაც ნორმატიულ დონეზე არ არის გაწერილი დისტანციურ სხდომაზე ქცევის წესები. ასევე, შესაბამისი საფუძვლით დახურული სხდომების დისტანციურად ჩატარების დროს დახურვის მიზეზად მითითებული ინფორმაციის დასაცავად არ არის შემუშავებული შესაბამისი რეკომენდაციები.

საიას მიგნებების მსგავსად, დისტანციურ სხდომებზე მტკიცებულებების გამოკვლევის სირთულესა და პრობლემურობაზე მიუთითებენ ადვოკატები. გარდა ამისა, კვლავ ფიქსირდება მოწმეთა დაკითხვის ფაქტები პოლიციის განყოფილების ადმინისტრაციული შენობებიდან. ადვოკატების უმრავლესობის შეფასებით, უშუალობის პრინციპიდან გამომდინარე, სხდომის დარბაზში მოწმის დაკითხვა ყველაზე ეფექტიანია.

ერთი ადვოკატი აღნიშნავს: „მოწმეების დაკითხვისას დისტანციური წესის გამოყენებას ვეწინააღმდეგები. პრაქტიკაში მქონდა შემთხვევა, როდესაც პოლიციის განყოფილებიდან ჩაგვერთო მოწმე, მას თავზე ედგა პოლიციელი, რომელიც სიტყვასიტყვით კარნახობდა, რა უნდა ეთქვა“.

ადვოკატები ასევე ერთხმად საუბრობენ დისტანციური სხდომების დროს არსებულ ტექნიკურ გაუმართაობაზე. პენიტენციურ დაწესებულებებში დისტანციურ სხდომაზე ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა ჩასართავად საჭირო ინვენტარისა და პერსონალის სიმცირე განაპირობებდა სხდომების დაგვიანებით დაწყებას. ამასთანავე, სხდომებზე ხშირად ბრალდებულებს სასამართლოს და მხარეების საუბრები არ ესმოდათ, მათი საუბრის მოსმენა კი პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს შეეძლოთ.

ადვოკატი: „პანდემიის საწყის ეტაპზე მქონდა შემთხვევა, როდესაც დილით, 10:00 საათზე ჩანიშნული პროცესი საღამოს 19:00 საათზე, ცხრასაათიანი დაგვიანებით დაიწყო. პენიტენციური დაწესებულებების მხრიდან ჩართვები სათანადოდ არ იყო

[36] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის N15 ანგარიში, გვ. 23, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OLDpoh, განხლებულია: 13.08.2022.

ორგანიზებული. დისტანციური ჩართვისთვის ტექნიკურად აღჭურვილი ოთახები, სავარაუდოდ, ცოტაა, ამიტომ სხდომები იდებოდა. კარგი იქნება, თუ პენიტენციური სამსახური ტექნიკური მიმართულებით თანამშრომლებს დაიმატებს, რათა ამგვარი ხარვეზები აღმოიფხვრას“.

დაცვის უფლება, ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალური ურთიერთობა

საიას სასამართლოების მონიტორინგის შედეგად გამოკვეთილ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ადვოკატისა და ბრალდებულის კონფიდენციალური ურთიერთობის პრობლემა სახელდებოდა.[37] ეს, ძირითადად, ეხებოდა დისტანციური ჩართვებისას გამოვლენილ შემთხვევებს, თუმცა, ადვოკატების ინფორმაციით, კონფიდენციალური კომუნიკაციის შეზღუდვას ისინი პენიტენციურ დაწესებულებებში მათი დაცვის ქვეშ მყოფ პატიმრებთან[38] შეხვედრის დროსაც აწყდებოდნენ.

ინტერვიუების დროს ადვოკატები ასევე ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ პანდემიამ ყველაზე დიდი გავლენა მათსა და კლიენტებს შორის კომუნიკაციაზე მოახდინა. მათი თქმით, არც სხდომის მიმდინარეობისას და არც პენიტენციურ დაწესებულებაში მათი საუბრის კონფიდენციალურობა დაცული არ იყო. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებთან კომუნიკაცია უხდებოდათ საერთო სივრციდან ტელეფონის მეშვეობით, შესაბამისად, საუბრის დეტალები ხელმისაწვდომი იყო როგორც იქ მყოფი სხვა ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების, ისე პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისთვისაც. ეს კი მნიშვნელოვნად ზრდიდა რისკებს, ადვოკატებისთვის არ გაეზიარებინათ ინფორმაცია შესაძლო **არასათანადო მოპყრობის ფაქტების** შესახებ.

ადვოკატები აღნიშნავენ, რომ პანდემიის გავლენით მოდიფიცირებულმა შეხვედრების ოთახმა მათში უფრო გააღრმავა ადმინისტრაციის მხრიდან თვალთვალისა და მიყურადების მანამდე არსებული განცდა. პატიმრებთან შეხვედრა გადავიდა ე.წ. „ყურმილების სისტემაზე“. ერთიან სივრცეში გამყოფი ბარიერია, რომლის ერთ მხარეს არიან პატიმრები, მეორე მხარეს - ადვოკატები და მათ ტელეფონის მეშვეობით უწევთ საუბარი.

საიას შეფასებით, შესაძლოა, პირი ენდობოდეს ადვოკატს, თუმცა გარემო პირობები იწვევდეს უნდობლობას და განცდას, რომ მის საუბარს ვიღაც უსმენს - იქნება ეს ციხის ადმინისტრაცია თუ სხვა პატიმრები.

ქვემოთ იხილეთ ამ საკითხზე ადვოკატების კომენტარები.

ადვოკატი: „ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ღია სივრცეში თვითონ ადვოკატებსაც მხოლოდ ბარიერი გვყოფს და ერთმანეთის საუბარი გვიშლის ხელს. დისკომფორტია ჩვენთვისაც და პატიმრებისთვისაც. ისინიც ერიდებოდნენ დეტალებზე საუბარს. ყველა პატიმარს ჰქონდა განცდა, რომ ამ მინის მიღმა ადვოკატთან საუბრის დროს ტელეფონი ისმინებოდა. გულწრფელობა და ღიაობა არ იყო. ხშირად ჩურჩუ-

[37] საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის №15 ანგარიში, გვ. 33-36.
[38] იგულისხმება პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებული ბრალდებული/მსჯავრდებული პირები.

ლით ვლაპარაკობდით. პანდემიიდან ფაქტობრივად 2 წელი გავიდა და პრობლემა ისევ პრობლემად დარჩა“.

კიდევ ერთი ადვოკატი: „შეხვედრების ოთახში პატიმარი/მსჯავრდებული და ადვოკატი ხმის გაუმტარი შუშით არიან ერთმანეთისგან იზოლირებულნი და კომუნიკაცია ხდება სპეციალური ტელეფონის მეშვეობით. მსჯავრდებულების თქმით, ხმაური, რომელიც ამ ტელეფონს ახლავს, იმის მანიშნებელია, რომ საუბარი ისმინება. ამ ერთიანი სივრცის ნაკლი ისიცაა, რომ ზოგჯერ, როცა დარბაზი სავსეა, ისეთი ხმაურია, არაფერი მესმის“.

ეს მნიშვნელოვანი პრობლემაა ისეთ საქმეებში, სადაც, შესაძლოა, სხვადასხვა ადვოკატის დაცვის ქვეშ მყოფთა ინტერესები არ იყოს თანხვედრაში. ამ საკითხზე ისაუბრა ერთ-ერთმა გამოკითხულმა **ადვოკატმა: „**პრაქტიკაში მქონდა სისხლის სამართლის საქმე, სადაც რამდენიმე ბრალდებული იყო. პენიტენციურ დაწესებულებაში რომ შევედი, ჩემ გვერდით, ორი ფანჯრის მოშორებით დამხვდა მეორე ბრალდებული, რომელთანაც ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს ძალიან დიდი პოზიციური დაპირისპირება ჰქონდა. ძალიან მარტივი იყო, რომ ჩვენი საუბარი მასაც მოესმინა. შესაბამისად, ასეთ სიტუაციაში ჩვენს იქ ყოფნას აზრი ეკარგებოდა“.

საყურადღებოა ისიც, რომ პანდემიის საწყის ეტაპზე ადვოკატებს ხანგრძლივ რიგში უხდებოდათ დგომა ბრალდებულებთან შესახვედრად, რაც მათი დატვირთული გრაფიკიდან გამომდინარე, დიდი პრობლემა იყო. ისინი იძულებულნი იყვნენ, ვიზიტები შეემცირებინათ, რაც ხშირად კლიენტთან ეფექტიანი კომუნიკაციის არქონას იწვევდა, განსაკუთრებით საპროცესო ვადებით შებოჭილი სხდომების დროს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად №8 პენიტენციურ დაწესებულებაში დაინერგა ადვოკატის ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის ინოვაციური ელექტრონული პორტალი.[39] ადვოკატების თქმით, შედეგად, მნიშვნელოვნად გამარტივდა ამ დაწესებულებაში ვიზიტის დაგეგმვის პროცედურა, აღარ უწევთ რიგში დგომა და საკუთარ დროსაც უფრო ეფექტიანად მართავენ.

მეორე მხრივ, ადვოკატთა ერთი ნაწილი წინასწარი დაჯავშნის საპილოტე სისტემაში გარკვეულ ნაკლოვანებებს ხედავს. ეს, ძირითადად, უკავშირდება კონსულტაციისთვის განსაზღვრულ მცირე დროს - ნახევარ საათს. ადვოკატები მიუთითებენ, რომ დრო უნდა გაიზარდოს - მინიმუმ 1 საათამდე მაინც.

ერთ-ერთი ადვოკატის თქმით, „ეს სისტემა სრულად ვერ ჩაანაცვლებს ციხეზე შესვლის წესებს, მაშინ, როდესაც იმპერატიული მოთხოვნაა, რომ 24 საათით ადრე უნდა დაჯავშნო. ზოგჯერ შეიძლება ადვოკატს არ ჰქონდეს ამის საშუალება. გარდა ამისა, მას არ უნდა შეეზღუდოს ულიმიტო კონსულტაციის უფლება, ვინაიდან ხშირად ნახევარი საათი ამისთვის სრულიად არასაკმარისია“.

ადვოკატები, ძირითადად, მიესალმებიან ამ სიახლეს და მნიშვნელოვნად მიაჩნიათ მისი დანერგვა სხვა პენიტენციურ დაწესებულებებშიც, თუმცა მას პატიმართან შეხვედრის დაგეგმვის ერთ-ერთ ალტერნატიულ სახედ მოიაზრებენ.

[39] ადვოკატებისთვის №8 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის ელექტრონული დაჯავშნის პორტალი მოქმედებს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3OScjuC. განხლებულია: 13.08.2022.

ადვოკატებისა და პატიმრების შეხვედრის კიდევ ერთი ბარიერი იყო პენიტენციურ დაწესებულებებში მკაფიო ინსტრუქციების არქონა კოვიდ-19-ის პრევენციისთვის საჭირო აღჭურვილობისა და პატიმართა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ყველა ციხეში სხვადასხვა წესი მოქმედებდა. არ არსებობდა ერთიანი სისტემა ან გეგმა ამ დაწესებულებებში ადვოკატთა დაუბრკოლებლად შესვლის თაობაზე.

ერთ-ერთი ადვოკატი აღნიშნავს: „პანდემიის საწყის ეტაპზე, 2020 წლის მარტიდან, ციხეში შესვლისას პრობლემა იყო ინფორმაციის ნაკლებობა. ხშირად იქ მისულებს ახალი წესები გვხვდებოდა. სავალდებულო იყო სპეციალური ხალათის ჩაცმა, რითაც დაწესებულება არ უზრუნველგვყოფდა. ზოგჯერ იცვლებოდა რეგულაციები, ითხოვდნენ აირწინაღს თუ სხვა დამცავ საშუალებას. ამის თაობაზე კი ჩვენი წინასწარ ინფორმირება არ ხდებოდა, რათა მოვმზადებულიყავით“.

მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები ამ მიმართულებით და სასამართლოს თუ პენიტენციური დაწესებულების სივრცეებში მაქსიმალურად დაიცვას ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებსა და მათ ადვოკატს შორის კომუნიკაციის კონფიდენციალურობა.

პანდემიის დროს გარე სამყაროსთან პატიმრების კავშირი

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ გარე სამყაროსთან პატიმრების კომუნიკაციაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. საწყის ეტაპზე პენიტენციურმა დაწესებულებებმა პანდემიასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტიან საშუალებად მსჯავრდებულ/ბრალდებულ პირთა სრული იზოლაცია მიიჩნიეს. პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს, კომპენსაციის სახით, დამატებითი უფასო სატელეფონო საუბრების უფლება მიეცათ.[40] პატიმრების მხრიდან ეს დადებითად შეფასდა, თუმცა ბრალდებულები, რომლებსაც, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე პროკურორის დადგენილებით ჰქონდათ სატელეფონო კომუნიკაცია შეზღუდული, პანდემიის დროსაც ვერ ახერხებდნენ ზარის განხორციელებას. ანალოგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ პირები, რომელთა მიმართ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია დისციპლინური სახდელის სახედ იყენებდა სატელეფონო საუბრის შეზღუდვას. შედეგად, პატიმართა ნაწილი გარე სამყაროსთან მიზერული კომუნიკაციის ერთადერთი ხელმისაწვდომი საშუალების გარეშე დარჩა.

ზემოხსენებულმა ანგარიშმა ცხადყო, რომ სატელეფონო საუბარი ვერ ჩაანაცვლებს პაემნით სარგებლობის უფლებას. ხანმოკლე პაემნების კუთხით მდგომარეობის გაუარესებაზე მიუთითებდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა 40%, ხოლო ხანგრძლივ პაემნებთან დაკავშირებულ პრობლემებზე - 70%.[41] პანდემიის პირობებში კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა ვიდეოპაემნებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა

[40] საქართველოს სახალხო დამცველი, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიში - პენიტენციურ სისტემაში COVID-19-ის პანდემიის გავლენა პატიმრების და პერსონალის ჯანმრთელობისა და სხვა სახის უფლებრივ მდგომარეობაზე, 2022, გვ. 30-32, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3cUMo8o.
[41] იქვე, გვ. 30.

და ამ თვალსაზრისით სხვადასხვა პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების არათანასწორი მდგომარეობა. საგულისხმოა, რომ პანდემიის საწყის ეტაპზეც არსებობდა გარკვეული შეზღუდვები გადაადგილების კუთხით. ვიდეოპაემნით სარგებლობისთვის კი პატიმრის ოჯახის წევრებს პრობაციის ბიუროში გამოცხადება უწევდათ, რაც დამატებით სირთულეებს ქმნიდა.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში, ისევე, როგორც საიასთან ინტერვიუებში, ადვოკატები მიუთითებდნენ პატიმრებთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემებზე. ზემოხსენებულ კვლევაში პატიმრები საუბრობდნენ, რომ მცირე პერიოდით მათ შეზღუდული ჰქონდათ ადვოკატთან კომუნიკაციის უფლებაც.[42]

დასკვნა

სპეციალურ ანგარიშში წარმოჩენილმა საკითხებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ტექნიკური საშუალებებით სხდომების ჩატარება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება, როგორც სასამართლო აგრეთვე პენიტენციური სისტემისთვის. ტექნიკური ხარვეზები საგრძნობლად აჭიანურებს პროცესების დაწყებას და გავლენას ახდენს სასამართლოსა და პროცესის მონაწილეთა მიერ დროის ეფექტიანად მართვაზე. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეკომენდაციების არაერთგვაროვანი აღქმა და ცალკეულ მოსამართლეთა მიერ საჯარო სხდომებზე მოქალაქეთა დასწრების თვითნებურად შეზღუდვა საყურადღებო გავლენას ახდენს საჯაროობის პრინციპზე.

ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალური ურთიერთობისთვის საფრთხის შექმნა ნეგატიურად აისახება ბრალდებულთა უფლებების რეალიზებაზე. პოლიციის ადმინისტრაციული შენობიდან მოწმეთა დაკითხვა კვლავ ეჭვქვეშ აყენებს მოწმეთა თავისუფალი ნების გამოვლენას. დისტანციური სამართალწარმოების დროს მხარეთა და დამსწრე პირთა ქცევის წესების შესახებ რეგულაციების არარსებობა საფრთხეს უქმნის შესაბამისი საფუძვლით დახურულ სხდომებზე ინფორმაციის დაცულობას. დისტანციურ სხდომებზე ახლაც ისევე როგორც საწყის ეტაპზე გამოწვევად რჩება ნივთიერი, ვიდეო მტკიცებულებების გამოკვლევა, თარჯიმანსა და ბრალდებულ/მსჯავრდებულის დისტანციური კომუნიკაცია და სხვა ისეთი საკითხები, რაც მთლიანობაში ნეგატიურად აისახება ბრალდებულთა უფლებებსა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხზე.

მიგვაჩნია, რომ საია-ს მიერ დისტანციურად მიმდინარე სისხლის სამართლის სხდომებზე დაკვირვებითა და ადვოკატებთან ინტერვიუების დროს წამოჭრილი პრობლემების შესაბამისად შემუშავებული რეკომენდაციების შესრულება დადებითად აისახება დისტანციურ სამართალწარმოებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე ვიმედოვნებთ, რომ შესაბამისი უწყებების მიერ კოვიდ-19-ის პანდემიის დაწყებიდან ორი წლის თავზე მაინც გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები კვლევაში წარმოჩენილი პრობლემური საკითხების მოსაწესრიგებლად.

[42] იქვე, გვ. 34.

რეკომენდაციები

- სასამართლოებმა უზრუნველყონ პროცესის ყველა ეტაპის შესახებ სხდომებთან დაკავშირებით ინფორმაციის საჯაროდ და პროაქტიულად გამოქვეყნება.
- მოწმეთა ფსიქოლოგიური წნეხის შესამცირებლად და ტექნიკური ბარიერების აღმოსაფხვრელად სასამართლოს შენობასა ან ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში მოწმეების დასაკითხად მოეწყოს შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ოთახები.
- სასამართლომ და მხარეებმა მაქსიმალურად უზრუნველყონ დისტანციური სხდომების ჩატარება ბრალდებულის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.
- პენიტენციური დაწესებულებები აღიჭურვოს საჭირო რაოდენობის ტექნიკური საშუალებებით. ასევე, დაემატოს და გადამზადდეს პერსონალი პროცესზე ბრალდებულთა შეუფერხებლად ჩართვის უზრუნველსაყოფად.
- პენიტენციურმა დაწესებულებამ სასამართლოში დისტანციურად ჩართვის დროს დაიცვას ბრალდებულები/მსჯავრდებულები ნების თავისუფლად გამოვლენაზე უარყოფითი ზეგავლენისგან, ასევე - მათ მიერ პროცესზე გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.
- ბრალდებულებს, რომლებსაც უჭირთ პროცესზე პოზიციის დაფიქსირება ადვოკატთან უშუალო კომუნიკაციის გარეშე, პანდემიის რისკების მინიმალიზაციით, მიეცეთ შესაძლებლობა, პენიტენციური დაწესებულებიდან სხდომას ადვოკატთან ერთად ჩაერთონ.
- შესაბამისი ნორმატიული აქტით განისაზღვროს დისტანციურ სხდომებზე მხარეთა და დამსწრე პირთათვის შესაბამისი რეგულაციები, ფოტო, აუდიო, ვიდეო გადაღების წესები.
- დისტანციურად ჩატარებულ დახურულ სხდომებზე მაქსიმალურად იყოს დაცული ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას, ან/და მისმა გამჟღავნებამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას პირთა უსაფრთხოებას.
- მხარეებმა მაქსიმალურად დაიცვან ეთიკის ნორმები და პროცესის მიმდინარეობისას მონაწილეებისთვის გადაღებული ფოტომასალა არ გახადონ ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის.
- იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ან/და, მეტი მოქნილობისთვის, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა უზრუნველყონ საერთო სასამართლოების ან ადგილობრივი თვითმართველობის სივრცეებში სხდომაზე დისტანციურად ჩართვისთვის საჭირო შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი ოთახების მოწყობა.
- პანდემიის პირობებში, როდესაც სხვა საშუალებებით შეზღუდულია გარე სამყაროსთან კომუნიკაცია, პატიმრებს მიეცეთ დამატებითი უფასო სატელეფონო ზარებისა და ვიდეოპაემნების უფლება კონფიდენციალურ გარემოში.

- პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იყოს ადვოკატისა და ბრალდებულის, აგრეთვე ექიმისა და ფსიქოლოგის კონფიდენციალური კომუნიკაცია.
- საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ვიდეოპაემნის მოქმედ წესში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები, რათა ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირთა ოჯახის წევრებს აღარ მოუწიოთ რიგებში დგომა და დამატებითი ბარიერების გადალახვა.
- №8 პენიტენციური დაწესებულების მსგავსად, ყველა სხვა დაწესებულებისთვის დაინერგოს ადვოკატების ვიზიტის წინასწარ დაჯავშნის მექანიზმი, ხოლო ვიზიტის ხანგრძლივობა განისაზღვროს ეფექტიანი კომუნიკაციისთვის საჭირო გონივრული დროით.
- პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებს ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენინგები ციხეებში პანდემიის ეფექტიანად მართვისა და სტრესთან გამკლავების მიმართულებით კვალიფიკაციის ასამაღლებლად.